განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სადოქტორო პროგრამა „ ბიზნესის ადმინისტრირება"
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2018 წლის 4 ოქტომბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018 წლის ოქტომბერი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურუდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი:	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი 02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ქრისტოფ ტერასი, EFMD, ბელგია
წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო თანდილაშვილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ირაკლი გაბრიაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის

	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა ჩამოყალიბდა ორი აქტიური და აკრედიტებული სადოქტორო პროგრამის ინტეგრირების საფუძველზე, რომლებიც ისწავლებოდა შოთა რუთაველის სახ. უნივერსიტეტში: ,,ბიზნესის ადმინისტრირება" (გადაწყვეტილება N 155, 03.07.2012) და ,,ფინანსები, ფულადი მიმოქცევა და კრედიტი" (გადაწყვეტილება N 152, 03.07.2012). ზემოთხსენებული ორი სადოქტორი პროგრამის თავისებურებების სისტემატიზაციის საფუძველზე, წარმოდგენილი ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის მიზნებია: მოამზადოს პროფესიონალების ახალი თაობა, რომელსაც შესწევს უნარი განახორციელოს თანამედროვე, ახალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული, ორიგინალური და ინოვაციური კვლევა ბიზნესის ადმინისტრირების ყველა ფუნქციურ მიმართულლებაში (ფინანსები, მართვა, მარკეტინგი, ფინანსური ანგარიშგება და გადასახადები), არსებული ცოდნის გაფართოებისა და სწავლება-სწავლის პროცესებში ეფექტურად ჩართვის მიზნით, ხელი შეუწყოს პროგრამის სტუდენტს, შეიძინოს რთული და წინააღმედგობრივი იდეების დამოუკიდებლად დაძლევისა და შესაბამისი მიდგომის ჩამოყალიბების უნარი, უზრუნველყოს დოქტორანტების ისეთ დონეზე მომზადება, რაც მათ საშუალებას მისცემს წარმოადგინონ საკუთარი პროფესიონალიზმი და შეძენილი ცოდნა, დახმარება გაუსწიოს დოქტორანტებს, ჩამოაყალიბინ ახალი ფასეულობები და ინოვაციური მეთოდები.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის კრედიტების მოცულობაა: 180 კრედიტი, მათ შორის, 60 კრედიტი - ტრენინგ-კომპონენტი და დანარჩენი 120 კრედიტი სამეცნიერო კომპონენტი. სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა ემყარება მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პრგრამების თავისებურებებს, ასევე გამოცდილებას სადოქტორო პროგრამის სტუდენტებთან მუშაობის პროცესთან დაკავშირებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამასთან ერთად, გათავლისწინებულ იქნა უნივერსიტეტის ძირითადი მოთხოვნები (სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პოლიტიკა) და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოთხოვნები. აკადემიური კომპონენტი მოიცავს როგ ორც სავალდებულო, ასევე, არჩევით კურსებს, სტაჟირებას (პროფესორის ასისტენტი) და სემინარების ჩატარებას. სამეცნიერო კომპონენტი მოიცავს სადისერტაციო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას.

სადოქტორო პროგრამის დასრულებისას სტუდენტს მიენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების დიქტორის აკადემიური ხარისხი. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პ რორიგრამის კურსდამთავრებულმა შესაძლოა სამსახური ეძებოს შესაბამის აკადემიური დაწესებულებაში (აკადემიური სამეცნიერო), კერძო სექტორში და/ან შესაბამისი დარგის სახელმწიფო დაწესბულებაში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 4 ოქტომბერს. ვიზიტამდე ერთი დღით ადრე შედგა მოსამზადებელი შეხვედრა ცენტრის წარმომადგენლებსა და ექპერტთა ჯგუფის წევრებს შორის. შეხვედრაზე განხილულ იქნა თვითშეფასების ანგარიში, ერთმანეთს გავუზიარეთ წინასწარი დასკვნები და დაიგეგმა ვიზიტი.

ვიზიტი შედგა 4 ოქტომბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე. ვიზიტი ჩატარდა ღიად და გამჭვირვალედ და შედგა სასარგებლო აზრთა გაცვლა-გამოცვლა. დროულად და დაყოვნების გარეშე მივიღეთ ყველა მოთხოვნილი ინფორმაცია და ახსნა-განმარტება.

ექსპერტთა ჯგუფს აქვს სურვილი ოფიციალურად დაადასტუროს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, ფაკულტეტების, თანამშრომლებისა და მონაწილე მხარეების გახსნილობა და თანამშრომლობის სურვილი. ჯგუფი მადლობა უხდის ბათუმის რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტს სტუმართმოყვარეობისა და ორგანიზებისა და ცენტრს - ვიზიტის მომზადებისა და კოორდინაციისათვის.

ვიზიტმა შესაძლებლობა მოგვცა უკეთ გაგვეგო პროგრამის ბუნება, ორი არსებული სადოქტორო პროგრამის შერწყმა, ამ ნაბიჯის მიზეზი, მისი შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან და მისი წვლილი ლოკალურ გარემოზე ზემოქმედების ასპექტში. ასევე, ვიზიტმა საშუალება მოგვცა მოგვესმიინა მკაფიო და დეტალური პრეზენტაცია პროგრამის არქიტექტურის შესახებ.

ექსპერტების შეხვედრა შედგა 5 ოქტომბერს, ერთამენთს გავუზიარეთ ჩვენეული ანალიზი, მივიღეთ გადაწყვეტილება შეფასების, ანგარიშის მომზადებისა და ზოგადად კონსენსუსის მიღწევისა და ანაგრიშის წარდგენისათვის საჭირო ნაბიჯების დაგეგმვის თაობაზე. ანგარიშში წარმოდეგნილი ყველა შეფასება და შენიშვნა კოლექტიური აზრია და ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრი სრულად იზიარებს მას.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შეჯამება**

ჯგუფის მიერ გაკეთებული საერთი შეფასება ძალიან დადებითია. ვიზიტმა დაგვიდასტურა თვითშეფასების ანალიზით მიღებული შთაბეჭდილება.

- პროგრამა ყურადღებით ჩამოყალიბდა უნივერსიტეტის გარემოს დეტალური ანალიზისა და მისია პოტენციური წვლილისსაფუძველზე დაწესებულების მისიაში. გამოყოფილია საკმარისი რესურსები და პროგრამის დაწყება რეალისტური და კარგად დაგეგმილია.
- ადგილზეა ყველა პროცესი და კონტროლის მექანიზმი ხარისხის დამაკმაყოფილებელი კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით.
- როგორც ჩანს, უნივერსიტეტმა ყურადღებით შეაფასა ყველა რისკი და მათ აღმოსაფხვრელად რისკის შემცირების სტრატეგიები შეიმუშავა პროგრამის სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით.

დაბოლოს, ორი მანამდე არსებული პროგრამის შერწყმა და ბიზნესის ადმინისტრირების ახალი პროგრამის შემოღება ლოგიკური, სასურველი და დაწესებულების მისიისთვის სრულიად შესაბამისია. ის აუცილებლად გააფართოებს დადებით გავლენას და წვლილს მისი გარემოს შექმნაში.

საბოლოო ჯამში, პროგრამა, ჩანს, რომ კარგი ხარისხისაა უმნიშვნელო ხარვეზებით; სტანდარტებიდან სამი კრიტერიუმი სრულად და ორი- მეტწილად შეესაბამისობაშია სტანდარტებთან.

კრიტერიუმების დეტალური შეფასება შემდეგია:

- სტანდარტი 1 - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა. **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა. **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- სტანდარტი 3 - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა. **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- სტანდარტი 4 - სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა. **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- სტანდარტი 5 - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები: **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

- **რეკომენდაციები:**

- სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.
    - მიღების პროცესი გახადეთ უფრო გასაგები.
    - დაამატეთ კვლევით მეთოდებზე ორიენტირებული საგნები და პრაქტიკაზე-ორიენტირებული კურსები.
    - გადახედეთ სილაბუსს, რათა ჰქონდეს უფრო შინაარსზე ფოკუსირებული მიდგომა, გახადეთ იგი აკადემიური, და არა ადმინისტრაციული მექანიზმი, ხელი შეუწყეთ ,,ქვევიდან-ზევით" მიდგომას, გადახედეთ სილაბუსების ბიბლიოგრაფიას და საჭიროებისამებრ, განაახლეთ ისინი.
    - გადახედეთ სწავლების მეთოდებს და შეფასების ფორმებს, რათა მიუსადაგოთ სადოქტორო დონის კურსებს.

    - გადახედეთ შეფასების სისტემას და უკეთ განმარტეთ მოთხოვნები (განსაკუთრებით, კოლოქვიუმებსა და პუბლიკაციებზე);

- სტანდარტი 5 - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები:
    - განაახლეთ შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმი და უზრუნველყავით ყველა შესაბამისი ინფორმაცია.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- სტანდარტი 1 - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა:
    - ნათელი გახადეთ ინფორმაცია პროგრამის მიზნების შესახებ: გადახედეთ პრეზენტაციას პროგრამის მიზნების შესახებ და აქცენტი გააკეთეთ აკადემიურ ასპექტებზე და სადოქტორო პროგრამის თავისებურებებზე.
    - განმარტეთ სიტყვა ,,დამსაქმებელის" გამოყენება, განსაკუთრებით სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის.
    - შეაგროვეთ ინფორმაცია კურსდამთავრებულთა კარიერის შესახებ და გამოიყენეთ ეს მონაცემები პროგრამის შესახებ ინფორმირებულობისა და იმიჯის ასამაღლებლად და მის მხარდასაჭერად.
    - შეამოწმეთ ვებ-გვერდზე განთავსებული ინგლისურ და ქართულ ენებზე არსებული ინფორმაციის ურთიერთშესაბამისობა.
- სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის აღქმის შეფასების ადეკვატურობა.
    - უზრუნველყავით მკაფიო ინფორმაცია პროგრამის აღწერის შესახებ (მიღებული პუბლიკაციები, კრედიტები და კოლოქვიუმის შინაარსი, გრაფიკი/ცხრილი, კვლევის მიმართულება და ა.შ.).
    - განახორციელეთ სადოქტორო პროგრამების კვლევის შედეგების ინტეგრაცია დაწესებულების სასწავლო მასალებში და გამოიყენეთ ის ყველა საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა).
    - წაახალისეთ გუნდური დამოკიდებულების ჩამოყალიბება დოქტორანტებს შორის ,,თიმბილდინგის", განცალკევებული ოფისებისა და კურსდამთავრებულთა ქსელის საშუალებით.
- სტანდარტი 3 - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
    - კურსდამთავრებულთა ქსელის შექმნა და სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კავშირის ხელშეწყობა;
    - ხელი შეუწყვეთ დისერტაციის საერთაშორისო თანახ ე ლმ ძ ღვ ა ნ ე ლობ ა ს და ა მ ი ს თვ ი ს ჩამოაყალიბეთ ფინანსური დებულებები;
    - დარწმუნდით, რომ დაწესებულებას საკმარისი რესურსი გააჩნია საერთაშორისო დამკვირვებლებთან თანამშრომლობისთვის.
- სტანდარტი 4 - სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა:
    - განმარტეთ უცხოური ფაკულტეტის მუშაობის წესი და განსაზღვრეთ სტრატეგია მისი გამოყენების შენარჩუნებისა და გაფართოებისთვის.
    - ხელი შეუწყეთ ინგლისური ენის შესწავლას ფაკულტეტის წევრების მიერ.
    - სრულად გამოიყენეთ საერთაშორისო კონტაქტების უპირატესობები პროფესიული კავშირებისა და გაცვლითი პროგრამებისათვის.
    - გაამდიდრეთ მატერიალური რესურსები კვლევისათვის მეტი ხელსაწყოების უზრუნველყოფით (მაგალითად, რაოდენობრივი კვლევა);
    - გამოყავით ცალკე ოთახი დოქტორანტი სტუდენტებისათვის.
    - დაიცავით ბალანსი სტუდენტთა რაოდენობასა და ფინანსურ სტაბილურობას შორის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის დაცვის მიზნით.
- სტანდარტი 5 - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები:
    - პერიოდულად გადახედეთ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს სადოქტორო პროგრამის სპეციფიკისა და სტუდენტთა შეზღუდული რაოდენობის გათვალისწინებით.

    - გააუმჯობესეთ გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები რეგიონუოლი და საერთაშორისო სამიზნე ნიშნულების სისტემების გამოყენებით და გაასაჯაროეთ პროგრამის პოზიციონირება მკაფიოდ და ნათლად.
    - ხარისხის უზრუნველყოფისათვის ჩამოაყალიბეთ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
    - აკადემიური პერსონალისთვის ა რს ე ბ ულ კვლევითი პროექტები დოქტორანტ და მაგისტრანტ სტუდენტებთან ერთად.
  - სტანდარტი 3 - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
    - უცხოელი დამკვირვებლის ჩართვა დისერტაციის დაცვამდე.
  - სტანდარტი 4 - სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა
    - თითეულ ხელმძღვანელს შესაძლოა ჰყავდეს მაქსიმუმ ორი დოქტორანტი.

- **განმეორებითი აკრედიტაციის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევებისა ან/და პროგრესის შეჯამება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

არ ეხება

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა ორი სადოქტორო პროგრამის შერწყმის საფუძველზე ჩამოყალიბდა. ,, ბიზნესის ადმინისტრირება" და ,,ფინანსები, ფულადი მიმოქცევა და კრედიტი". პროგრამის მიზნებია: მოამზადოს პროფესიონალების ახალი თაობა, რომელსაც შესწევს უნარი განახორციელოს თანამედროვე, ახალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული, ორიგინალური და ინოვაციური კვლევა ბიზნესის ადმინისტრირების ყველა ფუნქციურ მიმართულლებაში (ფინანსები, მართვა, მარკეტინგი, ფინანსური ანგარიშგება და გადასახადები), არსებული ცოდნის გაფართოებისა და სწავლება-სწავლის პროცესებში ეფექტურად ჩართვის მიზნით, ხელი შეუწყოს პროგრამის სტუდენტს, შეიძინოს რთული და წინააღმედგობრივი იდეების დამოუკიდებლად დაძლევისა და შესაბამისი მიდგომის ჩამოყალიბების უნარი, უზრუნველყოს დოქტორანტების ისეთ დონეზე მომზადება, რაც მათ საშუალებას მისცემს წარმოადგინონ საკუთარი პროფესიონალიზმი და შეძენილი ცოდნა, დახმარება გაუსწიოს დოქტორანტებს, ჩამოაყალიბინ ახალი ფასეულობები და ინოვაციური მეთოდები. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის კრედიტების მოცულობაა: 180 კრედიტი, მათ შორის, 60 კრედიტი - ტრენინგ-კომპონენტი და დანარჩენი 120 კრედიტი სამეცნიერო კომპონენტი. იგი შეესაბამება უნივერსიტეტის მოთხევნებს, ასევე ეკონომიკისა სდა ბიზნესის ფაკულტეტის მოთხოვნებს. აკადემიური კომპონენტი მოიცავს სავალდებულო, ასევე, არჩევით კურსებს, სტაჟირებას (პროფესორის ასისტენტი) და სემინარების ჩატარებას. სამეცნიერო კომპონენტი მოიცავს სადისერტაციო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას. სადოქტორო პროგრამის დასრულებისას სტუდენტს მიენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების დიქტორის აკადემიური ხარისხი. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პ როგრამის კურსდამთავრებულმა შესაძლოა სამსახური ეძებოს შესაბამის აკადემიური დაწესებულებაში (აკადემიური სამეცნიერო), კერძო სექტორში და/ან შესაბამისი დარგის სახელმწიფო დაწესებულებაში. პროგრამის მიზნები ნათლადაა აღწერილი შესაბამის საკომუნიკაციო მასალებში (პროგრამის აღწერა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდი). ყველა, ვისაც ვიზიტის დროს შევხვდით, ინფორმირებულია ამ მიზნებისა და მათი შინაარსთან შესაბამისობის შესახებ. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიასა და სტანდარტებს და შემუშავებულია მის ირგვლივ არსებული გარემოს საჭიროებების საპასუხოდ, მონაწილე მხარეთა (დამსაქმებლები) ანალიზისა და შიდა და გარეშე დაინტერესებულ პირებთან

დისკუსიის შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები შეფასების ანგარიში, პროგრამის აღწერა და დამხმარე მასალები (განსაკუთრებით სილაბუსები), რომლებიც ვიზიტის დროს მოგავწოდეს, ვებ-გვერდის დათვალიერება და ქართულ-ინგლისური მასალების შესაბამისობის შემოწმება.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: დაწესებულებამ ნათლად უნდა განსაზღვროს, თუ როგორ აპირებს პროგრამის მიზნების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას დაინტერესებულ პირთათვის. სადოქტორო პროგრამა ტრადიციულად მიმართულია აკადემიური ფუნქციებისაკენ (ახალი ცოდნის შექმნა და გაზიარება), მიგვაჩნია, რომ ამ იერარქიას პატივი უნდა ვცეთ საკომუნიკაციო მასალებში და ასევე იმას, რომ სამეცნიერო/აკადემიური ასპექტი აჭარბებს პროფესიულს. თვითშეფასების ანგარიშში და გასაუბრებების დროს ხშირად იყო ნახსენები ,,დამსაქმებელთა" გამოკითხვა. სასურველი იქნებოდა, გაგეკეთებინათ მკაფიო განმარტება, ვინ არიან ეს დამსაქმებლები, რადგან ხანდახან ვგრძნობდით, რომ უნივერსიტეტის ბაკალავრების, მაგისტრების და დოქტორების დამსაქმერბლებს შორის მცირედი განსხვავებაა. ასევე, ფაკულტეტმა უკეთ უნდა მიადევნოს თვალყური მისი კურსდამთავრებულების კარიერას და გამოიყენოს ეს ქსელი პროგრამის იმიჯისა და მის შესახებ ინფორმირებულობის ასამაღლებლად, მისი წარმატების თაობაზე ინფორმაციის გასავრცელებლად და პროგრამის მხარდასაჭერად.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ ეხება
შეფასება ■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამა ძალიან ლოგიკურად და კლასიკულად არის შემუშავებული. ორი თანმიმდევრული და დაკავშირებული კომპონენტისგან შემდგარი პროგრამა მიზნად ისახავს, სტუდენტები აღჭურვოს კვლევისათვის საჭირო ცოდნითა და უნარებით მანამ, სანამ დაასრულებდნენ სამეცნიერო კვლევას.

სწავლის შედეგები სრულყოფილადაა მორგებული აკადემიური კარიერის საჭიროებებს და უზრუნველყოფს სტუდენტს ცონდითა და შესაბამისი უნარებით:

- სამეცნიერო კვლევაში აქტიურად ჩართვისა და სფეროში ცოდნის შექმნაში წვლილის შეტანის მიზნით;
- გაუზიაროს ცოდნა სტუდენტებს უნივერსიტეტში სწავლების პერიოდში.

თეორიაზე ორიენტირებული კურსებისა (კვლევის საფუძვლები და სემინარები) და პრაქტიკაზე ორიენტირებული საქმიანობების ლოგიკური კომბინაცია მიიღწევა მ ა ნ ა მ , ს ა ნ ა მ სტუდენტი ჩაერთვება სამეცნიერო კვლევაში. პროგრამის სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი გულისხმობს არა მარტო ცოდნის შექმნას ფუნდამენტური კვლევის საშუალებით, არამედ გაზიარების საჭიროებასაც შედეგების შესახებ პუბლიკაციისა ან პრეზენტაციის სახით ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისათვის.

პროგრამის აღწერა, ისევე როგორც თვითშეფასების ანგარიში, ნათლად აღწერს სწავლის შედეგებს და მათი შეფასების კრიტერიუმებს. სახეზეა, აგრეთვე, აკადემიური გეგმა და კომპეტენციების რუკა.

პროგრამა ძირითადად გამიზნულია ფაკულტეტის წევრების მომზადებისათვის (უნივერსიტეტი ან უმაღლესი განათლების პროფესორები), რომლებიც იაქტიურებენ აკადემიური მუშაობის თვალსაზრისით (ძირითადად სწავლება და კვლევა), როდესაც კურსდამთავრებულთა პროფესიული კარიერის ანალიზი გვიჩვენებს ნიშანდობლივ პროპორციას კურსდამთავრებულებისა, რომლებიც უნივერსიტეტის სამყაროს გარეთ მუშაობენ. ეს ასევე დადასტურდა სტუდენთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრებების დროს, რომელთა სიტყვებითაც მათი მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო ან კერძო სექტორში მუშაობს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

შეფასების ანგარიში, პროგრამის აღწერა და დამხმარე მასალები (განსაკუთრებით პროგრამის რუკა), რომლებიც ვიზიტის დროს მოგავწოდეს, ვებ-გვერდის დათვალიერება და ქართულ-ინგლისური მასალების შესაბამისობის შემოწმება.

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

ჯგუფმა რამდენიმე შეუსაბამობა შენიშნა ვებ-გვერდზე, ქართულიდან ინგლისურზე ნათარგმნ ვერსიაში. ეს უნდა გასწორდეს ი მ სტუდენტების მოსაზიდად, ვინც არ იცის ქართული ენა.

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ ეხება

შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტანდარტთან პროგრამის შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე მიღების პროცედურა შესაბამისობაშია კანონმდებლობასა და უნივერსიტეტის წესებთან. ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, მიუხედავად მისი გამოცდილებისა, დაიშვება ამ პროგრამაზე სასწავლებლად. მიღების მთავარი პირობებია: ინგლისური ენის ფლობა B2 დონეზე და გასაუბრებაზე სადოქტორო განათლების გაგრძელების სურვილის დემონსტრირება, ასევე ბიზნესის ადმინისტრირების სხვადასხვა თემების ცოდნა. მიღების პროცესი ნათლად არ არის გადმოცემული სხვადასხვა ასპექტებთან დაკავშირებით. პირველი, პროცესის მეორე ნაბიჯი ბუნდოვანია: იგი არ განმარტავს, კანდიდატმა მხოლოდ ინტერვიუ უნდა გაიროს თუ ტესტირებაც? მეორე, არსებობს საშიშროება, რომ ინტერვიუსთვის ასარჩევი საგნების სია შესაძლოა არასწორად იქნას გაგებული; სია საკმაოდ ბუნდოვანია და არანაირი მინიშნება არ არის, თუ როგორ უნდა მეომზადოს მისთვის კანდიდატი. მესამე, პროგრამის ადმინისტრაციამ უნდა განმარტოს მიღების წინაპირობები არა-ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის სტუდენტებისთვის. მეოთხე, არ არის ინფორმაცია გარკვეულ შემთხვევებშიგამოცდაზე უარის თქმის შესაძლებლობის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. პროგრამა 2. თვითშეფასების ანგარიში; 3. გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელობასთან; 4. გასაუბრება სტუდენტებთან; 5. გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. 6. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://www.bsu.edu.ge
რეკომენდაციები პროგრამისთვის ხელსაყრელი იქნებოდა უფრო მკაფიო მიღების პროცესი. სასურველია ბიზნესის/ფინანსების გამოცდილებისა და სხვადასხვა დისციპლინებიდან წამოსულ კანდიდატებს მიაწოდოთ მკაფიო ინფორმაცია განსხვავებული პროცესის შესახებ. მიღების პროცესის, ასევე, უფრო გამჭვირვალე უნდა იყოს და განმარტვდეს ისეთ დეტალებს, როგორებიცაა: გამოცდაზე უარის თქმის პირობები, დამატებითი გამოცდის მოთხოვნები, ინტერვიუს ფრომატი და ა.შ.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ ეხება

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამა ჩამოყალიბდა ორი აქტიური და აკრედიტებული სადოქტორო პროგრამის ინტეგრაციის საფუძველზე. იგი ჩამოყალიბდა მოქმედი კანონმდებლობისა და რუსთაველის უნივერსიტეტის სტრატეგიული ხედვის თანახმად. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, რომელიც, თავის მხრივ, შეესაბამება პროგრამის მიერ მინიჭებულ კვალიფიკაციას.

პროგრამების გაერთიანება განიხილებოდა, როგორც პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის დახვეწის შესაძლებლობა. ამ პროცესში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა დაინტერესებულმა მხარემ: აკადემიურმა პერსონალმა, დოქტორანტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა. დამსაქმებელთა საჭიროებების უკეთ საპასუხოდ განხორციელდა რამდენიმე ცვლილება: შემოღებულ იქნა ახალი საგანი - გამოყენებითი სტატისტიკა SPSS ელემენტებით და კურსის შინაარსის ცვლილება (მაგ; სოციალური ფსიქოლოგია დოქტორანტი სტუდენტებისთვის). პროგრამაზე, აგრეთვე, შემოღებულ იქნა წინაპირობები გარკვეული კურსებისთვის პროგრამის შინაარსის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დოქტორანტი ვალდებულია დააგროვოს 180 კრედიტი. აქედან, აკდემიური კომპონენტი მოიცავს კრედიტების სრული რაოდენობის 1/3-ს (60 კრედიტს), ხოლო 2/3 (120 კრედიტი) განკუთვნილია სამეცნიერო კომპონენტისათვის (კვლევა). სწავლების ნაწილი მოიცავს 6 სავალდებულო და 6 არჩევით საგანს. კვლევითი ნაწილი მოიცავს დისერტაციასა და ორ კოლოქვიუმს. პროგრამა უნდა დასრულდეს 3 წელიწადში (მაქს. პერიოდი 5 წელია).

მიუხედავად ამ მიმართულებით დახარჯული აშკარა ძალისხმევისა, მაინც შეინიშნება მსუბუქი აცდენა პროგრამის მიზნებსა და ამ მიზნების მიღწევისთვის შერჩეულ საგნებს შორის. ეს განსაკუთრებით შეეხება მეთოდოლოგიური საგნების ნაკლებობას. ერთადერთი საგანი მეთოდოლოგიაზე ფარავს როგორც თვისობრივ, ისე რაოდენობრივ მიდგომებს და ამგვარად, ძალიან მარტივი და გაცნობითი ხასიათისაა. დოქტორანტებისთვის ძალიან სასარგებლო იქნებოდა მიეღოთ სიღრმისეული ტრენინგი კვლევის მეთოდებისა და მექანიზმების შესახებ. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ამ სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები, ძირითადად, აკადემიურ დაწესებულებებში საქმდებიან (აკადემიურ/სამეცნიერო თანამდებობებზე).

პროგრამის აღწერა ნათელია შინაარსთან დაკავშირებით, მაგრამ მაინც აკლი მნიშვნელოვანი ინფორმაცია კვლევითი ნაწილის კრედიტების გადანაწილების (120 კრედიტი) თაობაზე. მაგალითად, არაფერია ნათქვამი ორ კოლოქვიუმზე (ისინი კრედიტების განაწილების რუკის ბოლოშია). აგრეთვე, 5 პუბლიკაციის სავალდებუკლო პირობა დეტალურ აღწერას საჭიროებს, მაგალითად, მისაღები პუბლიკაციების ტიპი, და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. პროგრამა
2. თვითშეფასების ანგარიში;
3. გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.
4. გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელობასთან;

5. ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
6. გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
7. გასაუბრება დამსაქმებლებთან;
8. სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის ბრძანებულება N 37 ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი აკადემიური განათლების პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესების დამტკიცების შესახებ.
9. ბათუმის რუსთაველის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წ. 14 თებერვლის ბრძანება N16 აკადემიური საბჭოს N02 ბრძანებაში ,,საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე;

რეკომენდაციები

პროგრამის შინაარსთან დაკავშირებით ძირითადი რეკომენდაციაა, დაამატოთ კვლევის მეთოდებზე ორიენტირებული საგნები, როგორიცაა, თვისობრივი კვლევის მეთოდები, თვისობრივი კვლევის მექანიზმები, გაძლიერებული სტატისტიკა, და ა.შ. ეს უპასუხებს პროგრამის მიზანს, ,,მისცეს განათლება რეგიონის აკადემიური ელიტის მომავალ თაობას". ამავე დროს, პრაქტიკაზე ორიენტირებული კურსები უზრუნველყოფენ მეტი პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი და ტრანსფერული უნარების ჩამოყალიბებას თეორიულ ცოდნასთან ერთად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია, პროგრამის აღწერა იყოს უფრო დაკონკრეტებული (წარსადგენი პუბლიკაციის ტიპი, კოლოქვიუმების კრედიტები და შინაარსი, პროგრამისთვის მისაღები 5 სადისერტაციო მიმართულება, პროგრამის ცხრილი).

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- უცხოელი დამკვირვებელი

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3	სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ორი არსებული პროგრამის გაერთიანებამ ხელი შეუწყო პროგრამის მიერ შეთავაზებული ზოგიერთი კურსის ჰარმონიზაციას. მან, ასევე, ხელი შეუწყო წინაპირობების შემოღებას და პროგრამის სტრუქტურისთვის შესაბამისი და ლოგიკური ფორმის მიცემას. კურსის სილაბუსი ძალიან დეტალურია, აღწერს პროცესს დეტალებში, მაგრამ აკლია გარკვეული ხარისხობრრივი ინფორმაცია კურსის შინაარსზე. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ განახლებულ სიებსა და რეკომენდაციებს, მაგრამ, ზოგიერთ შემთხვევებში, ბიბლიოგრაფია შეზღუდულია მხოლოდ კლასიკური საკითავი მასალით, სადაც არ მოიპოვება ინფორმაცია ბოლოდროინდელი კვლევების მიწევების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. პროგრამის
2. კურსის სილაბუსი;
3. თვითშეფასების ანგარიში;
4. გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელობასთან;
5. გასაუბრება სტუდენტებთან;
6. გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
7. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები

პროგრამის სილაბუსი შეიძლება განვიხილოთ, როგორც გადართვა პროცესზე ორიენტირებული მიდგომიდან შინაარსზე ორიენტირებულ მიდგომაზე, და არა, როგორც ადმინისტრაციული მექანიზმი; ამისათვის სილაბუსი უნდა მომზადდეს ,,ქვევიდან-ზევით" და მასწავლებლებს ჰქონდეთ უმაღლესი თავისუფლება. ეს, განსაკუთრებით, შეეხება თემების არჩევანსა და შეფასების მეთოდებს. სილაბუსის გადახედვა უნდა განხორციელდეს განყ. 2.2. 2.4 და 2.6-ში მოცემული რეკომენდაციების მიხედვით, რომლის მიზანია პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების გაზრდა.

ზოგიერთ შემთხვევაში, ბიბლიოგრაფია უნდა გამდიდრდეს მეტი სტატიებითა და სხვა ტიპის პუბლიკაციებით; ჯგუფმა აღნიშნა დაწესებულების ძალისხმევა კურსების ბიბლიოგრაფიის მუდმივი განახლებისთვის და ურჩევს მომავალში კვლავ განაგრძონ ძალისხმევა ამ მიმართულებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ ეხება

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამა შემუშავებულია პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით, თეორიულ ცოდნის პარალელურად. დოქტორანტებს უნივერსიტეტი სთავაზობს კურსებს, როგორიცაა ,,სწავლების თანამედროვე მეთოდები", ,,აკადემიური წერა" და ,,ასისტენტ-პროფესორი", რომლებიც ავითარებენ მათ ტრანსფერულ და საკომუნიკაციო უნარებს პროფესიის ორივე, სწავლებისა და კვლევის, კომპონენტში. თუმცა, კვლევითი მეთოდების კურსების ნაკლებობა გავლენას ახდენს პროგრამის საერთო შეფასებაზე ამ კუთხით. სადოქტორო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს, მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა კვლევით პროექტებში ხელმძღვანელებთან და სხვა აკადემიურ პერსონალთან ერთად. ამას მიესალმებიან დოქტორანტები, რადგან მათ ეძლევათ საშუალება განივითარონ სხვადასხვა უნარები (კვლევის საგრანტო პროექტის წერა, პროექტის მართვა, შეფასება და სხვა), რაც არ ისწავლება პროგრამის კურსებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. პროგრამა 2. კურსის სილაბუსი; 3. თვითშეფასების ანგარიში; 4. გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელობასთან; 5. გასაუბრებები სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან; 6. გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ; 7. გასაუბრება დამსაქმებლებთან; 8. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: საინტერესო იქნება, კვლევის შედეგები შეიტანოთ პროგრამის კურსებში, ასევე ასწავლოთ ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): კვლევითი პროექტები აკადემიური პერსდონალისთვის დოქტორანტ და მაგისტრანტ სტუდენტებთან ერთად.
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ ეხება
შეფასება ■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5	სწავლება-სწავლის მეთოდები

- პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამა მოიცავს სწავლების მეთოდების ფართო ნაირსახეობას. თითქმის ყველა კურსი შემუშავებულია ისე, რომ განავითაროს სტუდენტის თეორიული ცოდნა შერჩეულ თემაზე და აძლევს მას შესაძლებლობას გამოიყენოს ცოდნა პრაქტიკაში. ზოგიერთი კურსი, ასევე, ავითარებს კომუნიკაციისა და სწავლის უნარებს.

თუმცაღა, უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე შესაძლებელია მეტი ინდივიდუალური და ანალიტიკური სამუშაოს განხორციელება. სახეზეა დამოუკიდებელი სამუშაოს და/ან გუნდური სამუშაოსა და ცოდნის გაზიარების ნაკლებობა დოქტორანტე ბ ს შორის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. პროგრამის
2. კურსის სილაბუსი;
3. თვითშეფასების ანგარიში;
4. გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელობასთან;
5. გასაუბრებები სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან;
6. გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ;
7. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის მოთხოვნების უკეთ საპასუხოდ, აუცილებელია გადაიხედოს სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები გარკვეულ შემთხვევებში. მაგალითად, რამდენიმე სავარუდო პასუხის ტესტი უნდა ჩანაცვლდეს ინდივიდუალური ან გუნდური დავალებით უფრო ანალიტიკურ საკითხებზე.

რეკომენდირებულია, რომ მკაფიოდ განმარტოთ სწავლებისა და სწავლის მეთოდები, რათა უზრუნველყოთ ყველა კომპონენტის გათვალისწინება.

რჩევები:

სტუდენტთა შორის გუნდური მუშაობა შესაძლებელია წახალისდეს ინდივიდუალური დატვირთვის შეთავაზებით და/ან სტუდენტებისათვის სივრცის უზრუნველყოფით, რაც მათ დაეხმარებათ გუნდური შეჭიდულობის აქტივობებში. კურსდამთავრებულთა ქსელის გამოყენებაც, როგორც ეს ნახსენებია განყ. 3.1-ში, შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს ამ კუთხით.

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ ეხება

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტთა შეფასება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის დადგენილი წესისა და უნივერსიტეტის წესების თანახმად. პროგრამის სწავლების კომპონენტში, სტუდენტის შეფასება მოიცავს მიმდინარე შეფასებას მათი ყოველდღიური აქტიურობის შესახებ და ფინალურ გამოცდას. კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა, საიდანაც ფინალური გამოცდის მაქსიმალური შეფასება 40 ქულაა და მიმდინარე შეფასება კი 20 ქულა. კვლევითი კომპონენტი ფასდება დისერტაციის ხარისხით და 5 პუბლიკაციის მდგომარეობით. პროგრამა გვთავაზობს შეფასების ძალიან დეტალურ აღწერას და ზრუნავს გამჭვირვალობაზე. ის, ასევე, ასახავს პლაგიატთან ბრძოლის მექნიზმებს, რასაც ადასტურებს უნივერსიტეტის გადაწყვეტილება, შეიძინოს პროგრამული უზრუნველყოფა ამ კუთხით. თუმცა, იგრძნობა საჭიროება, რომ უფრო გამჭვირვალე ინფორმაცია მიაწოდოთ დაინტერესებულ პირებს შინაარსის, და არა შეფასების პროცესის შესახებ. ამასთან, არ არის ინფორმაცია, თუ რა არის მისაღები მოთხოვნილი 5 პუბლიკაციისთვის. ეს დაკვირვება ეხმიანება რეკომენდაციას განყ.2.3-ში, რომ გახადოთ სილაბუსი როგორც არა ადმინისტრაციული, არამედ, აკადემიური მექანიზმი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. პროგრამა
2. კურსის სილაბუსი;
3. თვითშეფასების ანგარიში;
4. გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელობასთან;
5. გასაუბრება სტუდენტებთან;
6. გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
7. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ბრძანება N111, 2015 წლის 8 ოქტომბრის თარიღით, ,,აკადემიური პროცესის რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ".
8. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ბრძანება N23, 20.02.2018, ,,გამოცდების ჩატარების დამტკიცების შესახებ".

რეკომენდაციები

ამ ასპექტში შესაძლებელია ორი მთავარი რეკომენდაციის ფორმულირება: პირველი, სადოქტორო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები უფრო ნათლად უნდა განიმარტოს; ეს შეეხება 5 პუბლიკაციის გამოქვეყნებისა და ორი კოლოქვიუმის ჩაბარების მოთხოვნებს. მეორე, ზოგიერთმა კურსმა უნდა გადახედოს შეფასების მეთოდებს და გახადოს ისინი უფრო ადეკვატური სადოქტორო საფეხურისთვის (მეტი ანალიზი, ნაკლები ტესტური მეთოდი).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საერთაშორისო პუბლიკაციების მაღალი მხარდაჭერა და ხელშეწყობა;

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ ეხება

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტანდარტთან პროგრამის შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება:
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებების, ასევე, დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, ნათელია, რომ სტუდენტები იღებენ კონსულტაციებს მათი პროფილის განსაზღვრის მიზნით, ასევე სასწავლო პროცესის დაგეგმვის და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების გზების შესახებ. ამ პროცესში სტუდენტებს ეხმარება ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი. დისერტაციის ხელმძღვანელობისა და კონსუკლტაციისთვის პირველწლიანი სტუდენტებისთვის გამოყოფილი 20 საათი პირისპირ სასაუბროდ. მომავალი ორი წლის განმავლობაში ეს დრო გაიზრდება 40 საათამდე. გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობის, ცოდნის შექმნისა და კარიერული შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, სასურველია, ჩამოაყალიბოთ კურსდამთავრებულთა მართვის სისტემა და ჩართოთ ისინი სხვადასხვა საქმიანობაში. ასევე, ცოდნის გაზიარებისა და ეფექტების გავრცელებისათვის, ძალიან მნიშვნელოვანია ხელი შეუწყოთ არსებული სტუდენტების ერთად მუშაობას. ამ მიზნით, სასურველია, გამოყოთ ცალკე სამუშაო სივრცე დოქტორნატ სტუდენტებს, სადაც ისინი შეძლებენ ერთად მუშაობას და სოციალიზაციას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● პროგრამა ● თვითშეფასების ანგარიში; ● გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ● გასაუბრება პროგრამის კოორდინატორთან და ადმინისტრატორთან; ● გასაუბრება სტუდენტებთან; ● გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ● უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://www.bsu.edu.ge/
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: - კურსდამთავრებულთა მართვის სისტემის ჩამოყალიბება (ქსელის შექმნა) - ხელს შეუწყობს კავშირს კურსდამთავრებულებსა და დოქტორანტებს შორის და თავად დოქტორანტებს შორის.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ ეხება
შეფასება

■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ საკონსულტაციო დრო ადეკვატურია და მათ აქვთ საშუალება, განიხილონ მათი კვლევის საკითხები აკადემიურ პერსონალთან და მათ ხელმძღვანელებთან. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა არა მარტო შეხვდნენ, არამედ ეკონტაქტონ ხელმძღვანელებს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით. როგორც აღვნიშნეთ, აკადემიური პერსონალის დატვირთვა მოიცავს ინდიოვიდუალურ მუშაობას სტუდენტებთან. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტს აქვს საკუთარი შიდა შეზღუდვა ერთ ხელმძღვანელზე მაქსიმუმ ორი დოქტორანტის ოდენობით. ამასთან ერთად, გასაუბრების დროს აშკარა იყო, რომ ფაკულტეტის წევრები მოტივირებული და კმაყოფილები იყვნენ საკომუნიკაციო და საზედამხედველო პროცესებით. სტუდენტებმა, აგრეთვე, ახსენეს დადებითი გარემო და ინტენსიური კომუნიკაცია. უნივერსიტეტს გააჩნია შინაგანაწესი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ დოქტორანტს კვალიფიციური ხელმძღვანელი ჰყავდეს მისი დისერტაციის თემის სფეროში. მისი ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის თანახმად, უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტებს, რომ ჰყავდეთ უცხოელი ხელმძღვანელი ან თანახელმძღვანელი და მუშაობს ამ მიმართულებით. ეს გრძლევადიან ძალისხმევას და რესურსებს მოითხოვს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის
- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური პერსონალის რეზიუმეები;
- გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
- გასაუბრება პროგრამის კოორდინატორთან და ადმინისტრატორთან;
- გასაუბრება სტუდენტებთან;

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- აუცილებლად უნდა გქონდეთ საკმარისი რესურსები უცხოელი დამკვირვებლებისთვის. შესაძლოა შეიტანოთ ბიუჯეტში.
- განავითარეთ საერთაშორისო თანა-ხელმძღვანელობა.

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უცხოელი დამკვირვებელი;

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ ეხება

შეფასება

■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტანდარტთან პროგრამის შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1	ადამიანური რესურსები
	➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
	სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 24 (1 უცხოელი) აკადემიური და 5 მოწვეული პერსონალი. აკადემიური პერსონალი წარმოდგენილია კვალიფიციური პირებით, რომელთაც გააჩნიათ საჭირო კომპეტენციები სტუდენტთა დასახმარებლად პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში; პროგრამას ორი ხელმძღვანელი ჰყავს და მათ გააჩნიათ საჭირო ცოდნა და გამოცდილება, რაც საჭიროა პროგრამის შემუშავებისთვის. ისინი პირადად არიან ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ერთ-ერთი მათგანი ფაკულტეტის დეკანია, რითაც ხაზს უსვამს ამ პროგრამის მნიშვნელობას ფაკულტეტისთვის. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. ერთ ხელმძღვანელს შეუძლია ჰ ყავდეს მაქსიმუმ ორი დოქტორანტი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული მოწვეული პერსონალი ძირითადად, უნივერსიტეტის სხვადასხვა სკოლების ფაკულტეტის წევრები არიან, რაც სამომავლოდ პროგრამის სტაბილურობას უზრუნველყოფს; ფაკულტეტის წევრები ძალიან მოტივირებული არიან დაეხმარონ სტუდენტებს, აითვისონ პროგრამის მიერ განსაზღვრული კომპეტენციები.
	მტკიცებულებები/ინდიკატორები ● პროგრამის ● თვითშეფასების ანგარიში; ● აკადემიური პერსონალის რეზიუმეები; ● გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ● გასაუბრება პროგრამის კოორდინატორთან და ადმინისტრატორთან; ● გასაუბრება სტუდენტებთან;
	რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: თუ დაიგეგმება უცხოელი პერსონალის მოწვევა მოწვეული ლექტორი, ხელმძღვანელის ან თანა-ხელმძღვანელის რანგში, უნივერსიტეტმა შესაბამისი სტრატეგია უნდა შეიმუშაოს.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): მაქს. 2 დოქტორანტი თითო ხელმძღვანელზე.
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ ეხება
შეფასება ■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს ბიუჯეტში გათვალისწინებული აქვს 2000 ლარი ყოველი ფაკულტეტის წევრისთვის, რითაც მხარს უჭერს კონფერენციებში მათ მონაწილეობას და მათი ნაშრომების გამოქვეყნებას. ამასთან ერთად, უნივერსიტეტის ფაკულტეტის წევრებს თავაზობს ინგლისური ენის გაკვეთილებს, ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შესაბამისად. ფაკულტეტის შედარებით მცირე ზომა ხელს უწყობს რეგულარულ შემოწმებას, რათა უზრუნველყოფილი იქნას აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● პროგრამის ● თვითშეფასების ანგარიში; ● აკადემიური პერსონალის რეზიუმეები; ● გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ● გასაუბრება პროგრამის კოორდინატორთან და ადმინისტრატორთან; ● გასაუბრება სტუდენტებთან;
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: - კვლავაც უნდა გაგრძელდეს ინგლისური ენის კურსები ფაკულტეტის ინგლისური ენის ფლობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. - ყველანაირად ეცადეთ გამოიყენოთ საერთაშორისო პროფესიული/ პროფკავშირები/ საწევრო ასოციაციები კავშირების დამყარებისა და გაცვლითი პროგრამებისათვის.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): /
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ ეხება
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3. მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტმა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა 2015 წელს განაახლა საგანმანათლებლო პროგრამის, მათ შორის სადოქტორო პროგრამის მიერ, განსაზღვრული აკადემიური შედეგების მიღწევის მიზნით. ფაკულტეტი აღჭურვილია თანამედროვე აკდემიური აუდიტორიებით, სამუშაო ოთახებით, საკონფერენციო დარბაზებით, ბიბლიოთეკითა და კომოიტერული ლაბორატორიით. პროგრამა თავის სტუდენტებს უწყვეტ და სრულ წვდომას თავაზობს საკითავი მასალების მყარი და რბილი ფორმატის კოლექციებზე და კომპიუტერულ ლაბორატორიაზე, რომელიც აღჭურვილია სტატისტიკური ანალიზის ერთი პროგრამით. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასევე, დარეგისტრირებულია ელექტრონული საინფორმაციო ბიბლიოთეკების კონსორციუმის, EIFL-ის წევრად, რაც საშულებას აძლევს გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები: EBSCO Host, ოქსფორდის უნივერსიტეტის ჟურნალები, BioOne, Oxford Reference Online, სამეფო საზოგადოების ჟურნალების კოლექცია, უნივერსიტეტის პერსონალი. სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ შპს "CLARIVATE" -ს მონაცემთა ბაზებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. პროგრამა 2. თვითშეფასების ანგარიში; 3. გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელობასთან; 4. გასაუბრება სტუდენტებთან; 5. გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. 6. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი 7. ბიბლიოთეკის ვებგვერდი http://www.bsu.edu.ge/sub-15/page/2-237/index.html 8. ვიზიტი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ ლაბორატორიაში.
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: შესაძლებელია პროგრამის მატერიალური რესურსების გამდიდრება კვლევითი მეთოდების დამატებითი მექანიზმებით (მაგ; თვისობრივი კვლევის მექანიზმები). ეს საკითხი ეხმიანება განყ 2.2-ში მოცემულ რეკომენდაციას. ძალიან სასარგებლო იქნება სპეციალური ოთახის გამოყოფა დოქტორანტებისთვის, რითაც ხელს შეუწყობთ მათ შორის კავშირის ჩამოყალიბებას. ოთახი გამოყენებულ უნდა ინქა როგორც ინდივიდუალური, ასევე გუნდური მუშაობისთვის და ცოდნის/გამოცდილების გაზიარებისთვის. ეს საკითხი ეხმიანება განყ. 2.5 და 2.6-ში მოცემულ რეკომენდაციებს.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ ეხება

შეფასება

■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

- პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი ფარავს პროგრამის პირდაპირ ხარჯებს. თუმცა პროგრამა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკუტეტის ქვეშ ფუნქციონირებს, რომელიც ფინანსურად სტაბილური და მდგრადი ერთეულია და პროგრამის არაპირდაპირ ხარჯებსაც იოლად ფარავს. პროგრამის შემოსავალი გენერირდება სწავლის გადასახადებით, კვლევითი პროექტებით და სხვა გრანტებით. ფინანსური დახმარება ძირითადად უნივერსიტეტის გაერთიანებული ბიუჯეტიდან სრულდება ასახული შემოსავლებისა და ხარჯების შესაბამისად.

პროგრამა გეგმავს გაზარდოს აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის ანაზღაურება, რათა უზრუნველყოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროგრამის ბიუჯეტის სტაბილურობას მაშინ, თუ სტუდენტთა რიცხვი შეზღუდული იქნება წელიწადში სამ სტუდენტამდე და სწავლის გადასახადებისგან ნაწილობრივ გათავისუფლებას. მაშინ, როდესაც პროგრამას აქვს მეტი სტუდენტის მიღების საშულება, ხარისხის გარანტიის მიზნით სტუდენტების რიცხვის შეზღუდვა ძალიან დასაფასებელია და ცხადყოფს, რომ პრიორიტეტია ხარისხი და არა რაოდენობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. თვითშეფასების ანგარიში;
2. გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელობასთან;
3. გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.
4. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 02 წლის ბრძანებულება N 1 საჯარო სამართლის იურიდიული პირის- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

რეკომენდაციები:

რჩევები:

იპოვეთ ბალანსი სტუდენტთა რიცხვსა და პროგრამის ფინანსურ სტაბილურობას შორის, ვინაიდან პროგრამა მიზნად ისახავს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის განვითარებას, რაც გავლენას მოახდენს ბიუჯეტზე.

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ ეხება

შეფასება

■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტანდარტთან პროგრამის შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ადგილზეა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მოქმედებს როგორც უნივერსიტეტის, ასევე, დეპარტამენტების დონეზე. ისინი ადეკვატურად ასახავენ აკადემიური ცხოვრების ყველა ასპექტს და მიესადაგება ყველა სამიზნე ჯგუფს:

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობანი,
- პროგრამის განვითარება, შეფასება და წახალისება,
- სამეცნიერო პერსონალის მუშაობის შეფასება,
- სტუდენტთა აკადემიური შეფასება, კურსდამთავრებულთა დასაქმება და შრომის ბაზრის კვლევა,
- აკადემიური პერსონალის შეფასება და კარიერული განვითარება.

კოლექციური მექანიზმები, ანალიზის პროცესები და უკუკავშირი ადგილზეა; ისინი აქტივობების პილოტირების საშუალებას იძლევიან, უზრუნვლეყოფენ მათ შესაბამისობას ინსტიტუციურ დონეზე და მათ იყენებენ პროგრამის უწყვეტი მონიტორინგისა და პერიოდული გაუმჯობესებისათვის.

ყველა დამსაქმებელი, ვისაც ვიზიტის დროს შევხვდით, ინფორმირებულია შიდა ხარისხის პროცესის შესახებ და ადასტურებს, რომ ხდება ამ ინფორმაციის რეგულარული შეგროვება და გამოყენება. ტრადიციულად, სტუდენტებმა და კურსდამათავრებულებმა გამოთქვეს სურვილი, უფრო მეტი კონსულტაცია მიიღონ ამ პროცესის შესახებ.

გარკვეულ მომენტებში ვიგრძენით, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა პროცესის სუპერ-შეთავსებადობამ, ინსტიტუციურ და პროგრამულ დონეებზე, შესაძლოა გამოიწვიოს გართულებული სისტემა და პროცედურული გადაფარვები. უნდა განხორციელდეს პერიოდული გადასინჯვები, რათა უზრუნველყოფილ იქნას ძველი პროცესების ჩანაცვლება ახალი, ეფექტური პროცესებით. დაწესებულებამ აქცენტი გააკეთა შეგროვების პროცესსა და ელექტრონული მექანიზმების გამოყენებაზე, რაც შექებას იმსახურებას. თუმცა, სასურველია მეტი მოქნილობა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებზე მოსარგებად წელიწადში სამი დოქტორანტის მიღების პირობებში.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეთიკურ ასპექტებს, განსაკუთრებით, პლაგიატის საკითხს. ექსპრტთა ჯგუფმა დადებითად და სათანადოდ შეაფასა და დააფასა დაწესებულების მონაწილეობა პლაგიატის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო პროექტებში. ეს დადებითი ნაბიჯია საკითხის მოსაგვარებლად და ძალისხმევა უნდა გაგრძელდეს მომავალშიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში და დისკუსია შიდა და გარე მონაწილე მხარებთან ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ჯგუფი აღიარებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის მნიშვნელობას და ცენტრალურ ადგილს. სასურველია, პერიოდული გადასინჯვა პროცესის ევოლუციისა და სადოქტორო პროგრამის სპეციფიურობასთან და მისი სტუდენტების შეზღუდულ რიცხვთან ადაპტირების უზრუნველსაყოფად.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ ეხება

შეფასება
■შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

- პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში მცირე ინფორმაციაა გარე შეფასების სისტემის შესახებ და ჯგუფის ვიზიტის დროსაც, ვერ ვნახეთ დამარწმუნებელი მტკიცებულებები გარე ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გამოყენების შესახებ, თუმცა დაწესებულებამ ახსენა, რომ გაკეთებულია გარკვეული შედარებები არსებულ პროგრამებთან. როგორც ჩანს, ჩატარდა ე.წ. ,,სახელდახელო" გარე შეფასება, თუმცა პროგრამის შეფასების სისტემური და ფორმალიზებული მექანიზმების, ან გარე ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის არსებობის ან ფუნქციონირების მტკიცებულებები ვერ მოვიძიეთ.

ვფიქრობთ, რომ პროგრამისთვის ძალიან ხელსაყრელიიქნებოდა სისტემატიური გარე ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რაც საშუალებას მისცემდა სამიზნე ნიშნულებად გამოეყენებინა საერთაშორისო ან რეგიონული სტანდარტები. ეს, ასევე მხარს დაუჭერდა პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიას და ხელს შეუწყობდა აკადემიურ თანამშრომლობას სხვა დაწესებულებებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში და დისკუსია ვიზიტის დროს;

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია, რომ პროგრამამ განაახლოს მისი გარე ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, სისტემების (ეროვნული, რეგიონული, ან საერთაშორისო) მკაფიო მითითებით, რომელთაც გამოიყენებს სამიზნე ნიშნულებად, მისი განხორციელების პროცედურები და ვადები და სარგებელი, რასაც მიიღებს პროგრამა.

ეს მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული პროგრამის პოლტიკიაში და აღწერაში და გაზიარებულ იქნას მონაწილე მხარეებისთვის ღიად და გამჭვირვალედ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია, რომ დაწესებულებამ გამოიყენოს ,,რბილი" (ნებაყოფლობითი) სამიზნე ნიშნულების პროცესი და უფრო მომთხოვნი სისტემები (მაგ; რეგიონული/საერთაშორისო აკრედიტაცია მკაცრად განსაზღვრული სტანდარტებითა და პროცედურებით), რათა ნათელი იყოს სურათი, სად არის ეხლა და რას უნდა მიაღწიოს მომავალი წლების განმავლობაში.

ასევე, სასურველია, რომ პროგრამამ დანერგოს შედარებითი სისტემა, რათა შეაფასოს სად არის ეხლა (იმიჯი, სპეციფიურობა, დიფერენციაცია...) და შეადაროს სხვა ეროვნულ/რეგიონულ/საერთაშორისო დაწესებულებებს. ეს, ასევე, სასარგებლო მექანიზმი იქნებოდა დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის დროს.

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ ეხება

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული განხილვა
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი როგორც 5.1 ადასტურებს, დაწესებულებას გააჩნია პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული გადასინჯვის ძალიან სრულყოფილი სისტემა. სისტემა მოიცავს შემდეგ დაინტერესებულ მხარეს: • შიდა მონაწილე მხარეებს: სტუდენტებს, უნივერსიტეტის პროფესორებს და მოწვეულ ლექტორებს. • გარე მონაწილე მხარეები: დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები. შეგროვების, ანალიზისა და უკუკავშირის მექანიზმები სახეზეა ინსტიტუციურ დონეზე და როგორც ჩანს, ეფექტიანად ფუნქციონირებს. ეს მექანიზმები დეტალურადაა აღწერილი თითშეფასების ანგარიშში და წარმოდგენილ იქნა ვიზიტის დროსაც. თუმცა, ბუნდოვანია, რამდენი მათგანი შეძლებს სადოქტორო პროგრამის სპეციფიურობასთან ადაპტირებას. განსაკუთრებული ყურადღება და ზრუნვა მიმართულია გარე ინფორმაციისკენ, რომელსაც ,,დამსაქმებელი" იძლევა. როგორც ანგარიშის მეორე ნაწილში ვახსენეთ, ეს ტერმინი უფრო მკაფიოდ უნდა განიმარტოს სადოქტორო პროგრამის კონტექსტში ამასთანავე, დოქტორანტებისა და კურსდამთარებულების შედარებით მცირე რიცხვის გამო, შესაძლებელია მოქნილობაზე და ადაპტაციაზე ფიქრი. საერთაშორისო სამიზნე ნიშნულები ან ინსპირაცია მოდის დაწესებულების საერთაშორისო აკადემიური პარტნიორებისგან, თუმცა ჩვენთვის ბუნდოვნად რჩება, ეს კონკრეტულად რაში გამოიხატება. ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს მცდელობები და ძალისხმევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები: ასევე რეკომენდირებულია, გამოავლინოთ რომელიმე სხვა შესაბამისი მეთოდოლოგია მითითებისთვის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: საერთაშორისო მეთოდოლოგიით გათვალისწინებული შთაგონება და მხარდაჭერა აღინიშნა გუნდმა, რომელიც რეკომენდაციას აძლევს ამ თანამშრომლობის გაგრძელებას.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტანდარტთან პროგრამის შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სადოქტორო პროგრამა ,, ბიზნესის ადმინისტრირება"

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 32

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. პროგრამების მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული და მიღწევადი; ისინი შეესაბამება უსდ-ს მისიას და ითვალისწინებს დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სსტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების		X		

შესაძლებლობები				

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის



ქრისტოფ ტერასი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

ნინო თანდილაშვილი

ირაკლი გაბრიაძე